№ 221

ოთხშაბათი, 11 ოქტომბერი, 1900 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 6 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 7 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 221

ოთხშაბათი, 11 ოქტომბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ხუთშაბათს, 12 ოქტომბერს, კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკკლესიაში განსვენებულის

**გენ.-ლეიტ. კონსტანტინე ქრისტეფორეს ძის მამაცაშვილის**

სულის მოსახსენებლად ორმოცი წირვა და პანაშვიდი იქმნება გარდახდილი. წირვა დილის 10 საათზედ დაიწყება.

(1—204—1)

## ქართველ ქალთა სამკერვალო

18 სექტემბრიდგან დაიწყო მუშაობა. მიიღებს კაბებს შესაკერად.

იქვე მიიღებს პირველ ოქტომბრამდე შეგირდებს: ღარიბებს მუქთად, ხოლო დანარჩენთ თითო მანეთი უნდა გადაიხადონ.

მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ ჭრა კერვის კურსებზედ.

**ადრესი:** ბარონის ქუჩა, № 12.

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ. ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები,** თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **საპირე**, ისე **სარჩულები.** იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფურიძის და ნაჭრობით.

(50—ნ.—34)

მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

## ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 12 ოქტომბერს,**

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

**პირველად**

ლექსად ნათარგმნი განდეგილის მიერ

## ვაი ჭკუისაგან

კომედ. 4 მოქმ. ა. ს. გრიბოედოვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ ბ ნნი: გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, გარელი, ალხაზიშვილი; ბ-ნნი აბაშიძე, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ავალიანი, ურუშაძე, მირიანოვი და სხვანი.

**დასაწყისი 8 საათზედ.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

რეჟისორი **ვ. გუნია**

მზადდება წარმოსადგენად „იანიჩარი“ ისტ. დრ., „დენიზა“ დრ. ალ. დიუმასი.

## დაბა სამტრედიაში მკურნალი

ვასილ გიორგის ძე

**წერეთელი**

ამ წლის ოქტომბრის 17-დგან მიიღებს ავადმყოფებს სამკურნალოდ.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**მ. ბ. ბეზირგანოვი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. გელოვგოლოვი**—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათამდე.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардiана.

Тифлисъ, противъ памятн. Ворoцову.

## ახალი ამბავი

*** სამშაბათს, 10 ოქტომბერს, დილის 9 საათზედ ამაღლების ეკკლესიის მღვდელმა დ. ბარნაბიშვილმა ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის ეპარქიის სამრევლო-საეკკლესიო სასწავლებელთა საბჭოს თავმჯდომარის არხიმანდრიტ მ. ჰერმოგენისა და საეპარქიო სამრევლო სკოლების მეთვალ-ყურის ბ-ნ ნ. გ. ტატიშვილის დასწრებით აკურთხა ამაღლების ეკკლესიასთან ახლად დაარსებული სამრევლო-საეკკლესიო სკოლა. კურთხევას ბევრი ხალხი დაესწრო. ეს სკოლა დაარსებულ იქმნა საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს ხარჯით, რომელშიაც შეძლებისადაგვარ მონაწილეობას მიიღებს თვით ამაღლების ეკკლესია.

*** ამ ჟამად ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიასა და დედათა I გიმნაზიაში ორი თავისუფალი სტიპენდიაა, აბესალომოვის სახელზედ დაა-

## ფელეტონი

**წერილი ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის ვ. გ. მორფილისა *).**

„Georgische Dichter“ არტურ ლეისტისა და „Царица Тамара“ მ. ჯანაშვილისა.

ქართველების შესახებ უწერიათ რამდენსამე მოგზაურებს, მაგალითებრ, ბ-ნს ჟამ ბრისს, გარნა მათი მშვენიერი ქვეყანა მეტად ნაკლებად მოვლილია ინგლისელთა მიერ.

და ეს ქვეყანა-კი უტურფესი კუთხეა დედამიწაზედ. იგი სწორედ ღირსია იმ შესხმა-ხოტბისა, რომლითაც შეაქო იგი ბ-ნმა არტურ ლეისტმა ზემოხსენებულს თხზულებაში. მცხოვრებნი ახოვანნი არიან, ღირსია თვისის ქვეყნისა.

ინგლისში თითქმის არა იციან რა ამ ერის ენისა და ლიტერატურის შესახებ. გარნა უკვე ვხედავთ წინასწარ ნიშნებს იმისას, რომ მალე უკეთ გავეცნობით ამ ქვეყანას. ბ-ნ ოლივერ ვარდროპმა, ჩვენმა კერჩელმა ელჩმა მოგვცა თარგმანი ქართველთა შორის გავრცელებულის წიგნისა—„სიბრძნე სიცრუე“ სულხან ორბელიანისა; მისმა დამ კიდევ, ქ-ნმა მარჟორი ვარდროპმა, არა თუ გადმოგვითარგმნა რამდენიმე ქართული ზღაპარი, არამედ აღგვითქვა, რომ თავისის სიტყვით გადმოგვცემს შინაარსს „ვეფხის ტყაოსნისას“, ქართველების საერო ეპოსისას.

ბ-ნ არტურ ლეისტს მეტის-მეტი აღარ უნდა მოვთხოვოთ; მან დიდი სამსახური გაუწია საზოგადოებას თავისის თხზულებებით. მან განმარტა აგრეთვე „Armenische Dichter“ 1898 წ. პირველი გამოცემა დღევანდელ თხზულებისა გამოვიდა 1887 წ. 1889 წ. ავტორმა გადმოიღო თხზულება შოთა რუსთაველისა—„ვეფხის ტყაოსანი“.

ეხლა-კი მან გამოაქვეყნა თვისი ანტოლოგიის მეორე გამოცემა, რომელშიაც მოუქცევია ფრიად სასარგებლო განხილვა ქართულის ლიტერატურისა წიგნის წინასიტყვაობაში.

ქართული ენა-კი ჯერ აქამომდის ამოცანად შთება ფილოლოგებისათვის, მხოლოდ გრაცის პროფესორმა შუხარდმა ეს არის შეიგნო იგი და ეცადა გამოერკვია მისი ზმნათა სისტემა, რომელიც ძლიერა ჰგავს ბასკთა ენისას, თუმცა-ღა ამ ენებს საერთო სიტყვები-კი სრულიად არა აქვთ.

ქართულ მწერლობას აქვს ორი ანბანი, რომელთაგან ერთს ჰქვიან ხუცური და მეორეს მხედრული.

ბროსეს, ცაგარლისა, ერკერტ-სა და სხ. შრომათაგან აწ უკვე ვიცით, რომ ქართული, ლაზური, მეგრული და სვანური ფრიად უახლოესი ენებია. არც ერთს ამათგანს, როგორც ლინგვისტიურ გამოკვლევათაგან სჩანს, არავითარი მსგავსება არა აქვს სხვა ენებთან. ამათში სამწერლო ენა არის საკუთრად ქართული, დანაშთენებს დაუცავთ საერო სიმღერები, გადმოცემანი და სხ.

დიდის ხნის ბრძოლის შემდეგ თვისს მახმედიან მეზობლებთან, ქართველები ამ საუკუნის დასაწყისს შეუერთდნენ რუსეთს.

ქართულის ლიტერატურის დასაბამი დაიდო მერვე საუკუნეში, ხოლო მის სიბრწყინვალეს ხანად ითვლება მე-XII საუკუნე—მეფობა თამარისა, დიდის ხელმწიფისა, რომელსაც მიეწერება ყოველი აღმატებულება საეროვნო. ბატონ ჯანაშვილმა დასწერა მისი ისტორია რუსულს ენაზედ.

უმეტეს ნაწილს ქართულ უძველესს ნაწარმოებისას ემჩნევა სპარსული გავლენა და ვისაც ჰსურს გაიცნოს ქართველთ ავტორები, ჩვენ ვურჩევთ წაიკითხოს მშვენიერი წინასიტყვაობა ლეისტისა, სადაც დიდის მორჭმით აღნუსხულია მრავალი ცნობა.

აწინდელს გამოცემაში-კი ბ-ნი ლეისტი საუბრობს მიმავალი საუკუნის პოეტების შესახებ, იმ მგოსნებისა, რომელნიც აღყვავდნენ ახალს ხანაში, რუსეთისა და საზოგადოდ დასავლეთის გავლენის ქვეშე. იგი იწყებს გრიგოლ ორბელიანიდგან, რომელიც გარდაიცვალა 1883 წელს ღრმად მოხუცებული.

ლექსები და პოემები გვანცვიფრებს თავისის ჰანგით. ამ ტომში ყველა ლექსები ლირიკულია. სიყვარული და ღვინო—მათს შინაარსს შეადგენს. სიყვარულსა და ღვინოს ემატებათ აგრეთვე სამშობლოს სიყვარული, მაგალითებრ, როდესაც ლაპარაკია ერეკლე მეორის შესახებ. დავუმატებთ აგრეთვე, რომ ყველა პოეტის ნაწარმოების წინ ჩამატებულია მოკლე-მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მგოსნების შესახებ.

ყველაზე უშესანიშნავესი, მგონია, აწინდელი დროის პოეტთაგანი თავადი ილია ჭავჭავაძეა, რომელმაც განათლება მიიღო პეტერბურგში. იგი—ერთი სახელგანთქმულთაგანი მოქალაქეა ტფილისისა, ფრიად სტუმრის მოყვარე კაცი. იგი ჰბეჭდავს ჟურნალ „ივერიას“, რომლის ფურცლებზედ ხშირად წაიკითხავთ ვრცელს ცნობებს ქართველთა ტომის ზნე-ჩვეულების შესახებ.

„განდეგილი“ თავადის ჭავჭავაძისა თარგმნილია რუსულადაც და აგრეთვე ინგლისურადაც, რომელიც გადმოიღო ქ-ნმა მ. ვარდროპმა. იგი, მგონია, პირველი თარგმანია ინგლისურს ენაზედ ქართულის პოემისა.

ჭეშმარიტის სამშობლოს მოყვარეობით გამსჭვალულია სტრიქონე-

*) Journ. royale asiatic society, გვ. 562—566.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რსებული. პირველი ამათგანი დანიშნულია რუსებისათვის, ხოლო მეორე ქართველ ქალისათვის. აღნიშნულ სტიპენდიების მთხოვნელებს მალე კენჭს უყრიან ქალაქის გამგეობაში.

*** ორშაბათს, 9 ოქტომბერს, კრებაზედ ქალაქის საბჭომ აარჩია განსაკუთრებული კომისია, რომელმაც გამგეობასა და ქალაქის საფინანსო კომისიასთან ერთად ქალაქის მესამე სესხი უნდა აიღოს. შემდეგ საბჭომ დაამტკიცა სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ 1896—1897 წლებში. სხვათა შორის საბჭომ შეიწყნარა სარევიზიო კომისიის წინადადება იმის შესახებ, რომ გამგეობის მოქმედების რევიზია ყოველ წლობით მოხდეს ხოლმე.

*** ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელი ბ-ნი რობი გუშინ-წინ, 9 ოქტომბერს, ჩამოვიდა ტფილისში.

*** უკანასკნელად შეკრებილ სტატისტიკურ ცნობებით, ტფილისის პირველ-დასაწყისს 17 სკოლაში ამ ჟამად 1788 მოწაფე თურმე ირიცხება. ამათგან რუსია 688, ქართველი 467 და სომეხი - 603, ხოლო დანარჩენ ერთა ბავშვები სულ 30.

*** თელავის ქალაქის მოურავი შუამდგომლობს ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის წინაშე, რომ თელავში ავადმყოფების მისაღები სახლი და აფთიაქი იქმნეს გახსნილი.

*** ამ წინაზედ გარდაცვალებულის სამხედრო მკურნალის მ. ა. პოკროვსკის მაგიერ სამხედრო ბეგრის ტფილისის საკრებულოში მინგრელიის გრენადერთა რაზმის უმცროსი მკურნალი ს. ე. ერმოლაევი დაუნიშნიათ.

*** ტფილისის ჯარები საზამთრო ტანისამოსის ტრებას ხვალ, 12 ოქტომბრიდგან, დაიწყებენ.

*** კვირას, 8 ოქტომბერს, პოლიციის მესამე ნაწილში პოლიციის მოხელემ დააპატიმრა ჯიბგირი ტფილისის მოქალაქე ილია ავეტიქას ძე გასიუნიკი, რომელსაც აღმოაჩნდა ამ დღესვე ოჭვნეს არზუმიანცისაგან მოპარული საათი. გასიუნიკი სამართალში იქმნა მიცემული.

## ფოთის ქალაქის საბჭო

ოქტომბრის პირველ რიცხვებში ფოთის ქალაქის საბჭოს სამჯერ ჰქონდა კრება, რადგანაც პირველად სხდომას 18 საგანი ჰქონდა განსახილველად წარდგენილი და ვერ მოასწრო. მართალია, ყურადღებას არც ერთი არაა მოკლებული, მაგრამ ჩვენ ვეცდებით გავაცნოთ მკითხველთ მხოლოდ ის, რაც უფრო მეტის ყურადღების ღირსია. იმ საგნების სიაში, რომელიც გამგეობამ საბჭოს წარუდგინა, შეტანილი იყო ქალაქის მოურავის მოადგილის არჩევანი, რადგანაც ბ-ნს ჯალალოვს სამსახურის ვადა შეუსრულდა. პირველს კრებაზედ ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ნ. ნიკოლაძემ მოახსენა საბჭოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული პირობები მეორე ობლიგაციურ 5% ორი მილიონის სესხის შესახებ. 11 მაისს, საბჭოს მიერ მოწონებული წესი და პირობები მეორე ობლიგაციურ სესხის აღების თაობაზე და გეგმა ამ სესხის გასტუმრებისა (планъ погашенія) პირველ აგვისტოს ფინანსთა მინისტრმა დაამტკიცა და საგანგებო საკრედიტო კანცელარიის მიერ გამოგზავნილია ქუთაისის სამხედრო გუბერნატორთან, რომელმაც 17 აგვისტოს გამგეობას აცნობა, რომ საბჭოს გამოსცხადებოდა. ცვლილება მოუხდენია მთავრობას ვალის გასტუმრების გეგმაში მხოლოდ მით, რომ ვადა შეუმოკლებია ხუთი წლით 55 წლის მაგიერ. ამის-და მიხედვით შეცვლილია საბჭოს მიერ შემუშავებული ვალის გასტუმრების წესი „на погашеніе облигацій въ названный срокъ опредѣляется по полугодно 0,231,188% съ нарицательной суммы облигаціоннаго долга, вмѣсто 0,181,881%-овъ проектируемыхъ думою“.

შემდეგ საბჭომ განიხილა სახელმწიფო ქაღალდების ექსპედიციის მიერ დამზადებული ობლიგაციის ნიმუშები, რომელიც მოიწონა და დაადგინა, რომ გამგეობამ შეუკვეთოს დასამზადებლად სახელმწიფო ქაღალდების ექსპედიციას ობლიგაციები შემდეგის ფასისა: 3,500 ობლიგაცია თითო ას მანეთიანი, 1700 —ხუთასიანი და 800 თითო ათასად ღირებული.

საბჭომ მოისმინა აგრეთვე პასუხი კავკასიის სამოსწავლო მზრუნველისა ფოთში სავაჟო პროგიმნაზიის დაარსების შესახებ. მზრუნველი ამბობს: ქალაქის შუამდგომლობა პროგიმნაზიის დაარსების შესახებ არ იქნება შეწყნარებული იქამდის, სანამ ქალაქი არ გადასდებს საკმაო თანხას სასწავლებლის შესანახად და მისთვის შესაფერ გეგმაზედ შენობას არ ააგებსო. ის წყარო, რომელზედაც საბჭო ამყარებს თავისს შუამდგომლობას, სასწავლებლის შესანახ უმთავრეს წყაროდ არ ჩაითვლება, რადგანაც სამოსწავლო გარდასახადისაგან შემოსული ფული ქალაქის საკუთრება-კი არა, სასწავლებლისააო. ამაზედ თავმჯდომარემ მოახსენა კრებას: როგორცა ჰხედავთ, უმთავრესი მიზეზი უარის თქმისა ისაა, რომ ქალაქს საკმაო თანხა არა აქვს პროგიმნაზიისათვის. თითონ მოურავს საერო განათლების მინისტრთანა და მზრუნველთან მოლაპარაკების დროს ის აზრი გამოუტანია, რომ მთავრობა შეიწყნარებს ქალაქის შუამდგომლობას რომელისამე საშუალო სასწავლებლის დაარსების შესახებ, თუკი ის ამისათვის საჭირო საშუალებას აღმოაჩენს და შენობას ააგებს. ბევრი თათბირის შემდეგ სწავლა-განათლების მწყურვალე ხმოსნებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ყოველივე ღონე უნდა ვიღონოთ და რომელიმე საშუალო სასწავლებელი-კი დავიარსოთო. ამის განსახორციელებლად საბჭომ დაადგინა არჩეულ იქმნას კომისია და დაევალოს მას ენერგიულად შეუდგეს ფულების შეკრებას, რომ დროზედ სასწავლებლისათვის შენობა ავაგოთო.

ამის შემდეგ სხდომას მოხსენდა საერო განათლების სამინისტროს დეპარტამენტის პასუხი ქალაქის სასწავლებლისათვის შენობის ასაგებად 40,000 მანეთის სესხის მიცემისა გამო. მართველი კავკასიის სამოსწავლო ოლქისა იუწყება დეპარტამენტის აზრს და ამბობს, რომ სამინისტროს მიერ შეიძლება უარ-ყოფილ იქმნეს ეს შუამდგომლობა, თუ მასში მოხსენებული არ იქნება ვალდებულება, რომ ნაწილი თავნისა და სარგებლისა ყოველ-წლივ აუცილებლად გარდახდილ იქმნება. ამ სათვის შეეკითხეთ საბჭოს, ჰსურს თუ არა, რომ ამ ვალდებულების შესასრულებლად ქალაქმა ხარჯთ-აღრიცხვაში ყოველ-წლივ გასასტუმრებელი ფული შეიტანოსო. საბჭომ ერთხმად მიიღო ეს წინადადება და დაავალა გამგეობას იშუამდგომლოს, ვისთანაც ჯერ არს, რომ უეჭველად მიეცეს ქალაქს 4%-იან 40,000 მანეთის სესხი სასწავლებლის შენობის ასაგებად. საბჭომ მოისმინა აგრეთვე მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ, რომ ქალაქის სასწავლებელს რამოდენიმე ნაჭერი მიწა მიეცეს სამეურნეო განყოფილების საჭიროებათათვის. კრებამ სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება და დაადგინა გადაეცეს სასწავლებელს ის მამული, რომელიც ქალაქმა ტერ-ავაკიმოვისაგან იყიდა. საბჭომ დაწვრილებით განიხილა და კიდევაც დაამტკიცა ანგარიში იმისა, თუ ქალაქს 1900 წ. პირველ იანვრამდის რამდენი აუღია პირველ სესხისათვის გამოცემულ ობლიგაციების განაღდებით.

საბჭომვე განიხილა ანგარიში წარსული წლისა (1899 წ.) სარევიზიო კომისიის შენიშვნებით და ხარჯთ-აღრიცხვა მომავალისა. ხანგრძლივის კამათის შემდეგ კრებამ დაამტკიცა წარსულის წლის ანგარიში და მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა. საბჭომ საზოგადოდ ის აზრი გამოსთქვა, რომ სწავლა-განათლებისათვის მეტი ფული იქმნას გადადებულიო. 6 ოქტომბერს, როდესაც საბჭომ მორიგ საგნების განხილვა დაასრულა, საბჭოს წაუკითხეს ქალაქის მოურავის მოადგილეს ბ-ნის ჯალალოვის დეპეშა, რომლითაც იგი კენჭისყრაზედ უარს აცხადებდა. ქალაქის მოურავის მოადგილეთ დასახელებული იქმნენ კანდიდატებად: გამგეობის წევრი ბ-ნი ლ. ყრუაშვილი და გამგეობისავე უფროსი ბუჰხგალტერი ბ-ნი ი. ს. ფანცხავა. ბ-ნმა ლ. ყრუაშვილმა ამ თანამდებობაზედ უარი განაცხადა. ამის გამო კენჭი უყარეს მხოლოდ ბ-ნს ი. ს. ფანცხავას, რომელიც 19 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 4-ისა ფოთის ქალაქის მოურავის მოადგილედ არჩეულ იქმნა.

ი. იანეთელი

## წერილი ქართლიდგან

დიდი ხანია მას აქეთ, რაც დიდებულის მეფის მეოხებით გაისმა „ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა“. ამ ხმამ ყოველი კუთხის საუკეთესო მამულიშვილთ საამურად ულიტინა გრძნობიერი გული და აღუძრა იმედი ბრწყინვალე მომავალისა, რადგანაც, მათის აზრით: ერთს წაერთვა ის, რაც უკანონოდ ჰქონდა მიცემული და მეორეს მიეცა ის, რაც უკანონოდ ჰქონდა წართმეული. ზოგი იმ დროს შეხვედრის უმალ „ქრისტე აღსდგა“-ს ულოცავდნენ, აღტაცებით ჰკოცნიდნენ ერმანეთსა და ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც საუკუნოებით სხვის მონობისგან წელში მოხრილს მრავალ მილიონს ხალხს თავისუფლობა, განკურნება ელ-რსა დიდებულ მოხუც გლადსტონის თქმისა არ იყვეს:

„უკეთუ დედა-მიწაზედ თავისუფლება არ არსებობს, ყველაფერი ავადმყოფია, თავისუფლების გარეშე ხალხის წინ-სვლა შეუძლებელიაო“.

რა თქმა უნდა, მაშინაც იყვნენ ამ ახალ მოვლენით უკმაყოფილონი? ამათ არ ჰსურდათ ბატონ-ყმური წეს-წყობილება დარღვეულიყო და ისევ ძველებურ „ლუარსაბურ“ ცხოვრების მომხრენი იყვნენ.

გავიდა რამდენიმე ათეული წელიწადი. პირველი ჯგუფის მომხრეებმა შესამჩნევად იმატეს, ხოლო მეორის წარმომადგენლნი აქა-იქ-ღა ითქვამენ სულს. ისინი ჯერ კიდევ დაკარგულს ბატონობას მისძახიან და

ბი მისის ლექსისა „მტკვრის პირას“:

„კვლავ ჩემ წინ მტკვარი მორბის ქუხილით,
ამ ქუხილში ვგრძნობ მშობლიურს გრგვინვას,
კვლავ ჩემი გული იმავ წუხილით
შეჰკვნესს მღვრიე ზვირთთ მღერათა დენას“.

ლექსი აქ დიდად შეწყობილად გამოყვანილია მუსიკალურის მხრით.

აწინდელ მგოსანთა ნაწარმოების შემდეგ ბ-ნ ლეისტს ჩაურთავს რამდენიმე სახალხო სიმღერა, რომელთა შორის შესანიშნავია „თამარ მეფის ეპიტაფია“.

შოთა რუსთაველის ნაცვესებს დიდის ხალისით წაიკითხავენ და ამის გამო უფრო ღრმად ჩაუკვირდებიან თვით მისს პოემას, საიდგანაც იგინი ამოუღია ლეისტს. ჰხამს მკითხველი ლეისტის თარგმანით გაეცნოს „ვეფხის ტყაოსანს“, რომელიც მას გადმოუღია შეგნებულად და მორჭმით.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ დასავლეთელი მკითხველი დიდად ისიამოვნებს ლეისტის გამოცემის კითხვით. Terra incognita ს (უცნობის ქვეყნის) კარები გაეღება. ცოცხალი სურათები ქვეყნისა და ასეთისავე მშვენიერის საქართველოსი ცოცხალის ერისა თვალწინ წარმოგვიდგება, რაწამს კადავშლით ლეისტის წიგნს, გარნა ოდესაც განვიხილავთ თვით საამო ნახატებს, ჩართულს თვით ტექსტში, მაშინ ჩვენს აღტაცებას ამ წიგნისაგან საზღვარი აღარ ეძლევა.

გარნა აწინდელნი ქართველნი არა ჰკმარობენ მხოლოდ სამგოსნო განვითარებით.

მათ აქვთ ბევრი შვენიერი ისტორიული და ეტნოლოგიური ნამუშევარი. სამწუხაროა-კი, რომ ყოველივე ეს დაწერილია ქართულადა, ანუ რუსულად, და ამიტომ მათ გაცნობას მოკლებულია ინგლისელი ფილოლოგი. ამათ შორის შეგვიძლიან ვუჩვენოთ შემუშავებული ისტორია საქართველოს ლიტერატურისა, შედგენილი პროფესორის ხახანაშვილის მიერ რუსულს ენაზედ და აგრეთვე ძეირფასი წერილები იმავე საგნის შესახებ პროფესორის მარრისა საერო განათლების სამინისტროს ჟურნალში.

1873 წელს დიმიტრი ბაქრაძემ, ქართველთ არქეოლოგმა, თავის მემამულეთა ყურადღება მიაქცია იმაზედ, რომ ამ ძველის-ძველ და შვენიერი ქვეყნის ნაშთნი იმუსრებიან და საოცრად იკარგებიან. ბაქრაძეს მეცადინეობამ იმოქმედა მისს თანამოქალაქეებზედ და ბოლოს გაიხსნა მუზეუმი სიძველეთა დასაცველად.

იგი დაარსდა 27 ივლისს 1888 წელს პალლადის მეცადინეობით, საქართველოს ექსარხოსისა და აწ-კი გარდაცვალებულ პეტერბურგის მიტროპოლიტისა. მას აქეთ ორ გზის მოჰხდა არქეოლოგიური მიმოსვლა და ბოლოს შეიკრიბა დიდძალი რიცხვი ხელნაწერებისა, სიგელ-გუჯრებისა, წარწერებისა ქვაზედ და სხ. სიძველეთა, რომელნიც მანამდე დაეცვათ მონასტრებში ანუ ინახებოდნენ კერძო კაცთა სახლებში.

მაშინ ეს ნაშთნი მიაბარეს დასაცავად ბ-ნ მ. ჯანაშვილს *), დაუღალავს არქეოლოგს, რომელმაც თავის კალმით დიდი სამსახური გაუწია საქართველოს. მის მიერ შედგენილი მოკლე ისტორია საქართველოსი—ერთად-ერთია, რომელიც მთავრობის მიერ ნება-დართულ ასახელმძღვანელოდ იმ სასწავლებლებში, სადაც ქართულ ენას ასწავლიან. მასვე უწერია შესახებ ქართველთ ზნე-ჩვეულებისა, რომელიც სულ მცირედ იყო ცნობილი. აღვნიშნავთ მისსავე წიგნს ქართულ რომანტიულ მოთხრობის „ამირან დარეჯანიანის“ წყაროების შესახებ. აქაც თავ-გარდასავალი გმიროსანთა იგეთივე ზათქიანია, ვითარცა საშუალო საუკუნოების რაინდებისა. ამ შრომის შესახებ საერო განათლების სამინისტროს ჟურნალში გამოვიდა მეცნიერული წერილი პროფეს. მარრისა. საკვირველ არს ვძიოთ გამოძახილი დასავლეთისა ქართულს პოეზიაში!

შოთა რუსთაველი, მსგავსად არიოსტისი, იყო ჭეშმარიტი მესტვირე („ტრუბადურ“). მსგავსებას აქ ის ემატება, რომ შოთა იყო, როგორც ამბობენ, უიმედო მოტრფიალე თამარ მეფისა.

და ყველა ეს სწარმოებდა აზიაში და ისიც მე-XII საუკუნეს!

ამ პოეტის შესახებ ბ-ნ ჯანაშვილმა დასწერა ქართულად მოკლე ამბავი.

ამ გვარად ღირსეული გამგე მუზეუმისა, დასავლეთის მეცნიერების დიდად საზედნიეროდ იკვლევდა თავისის ქვეყნის ისტორიასა, ეტნოლოგიასა და ლიტერატურას. იგი გვესაუბრებოდა ჩვენ საქართველოს [illegible] ტომთა ჩვეულებათა შესახებ. მისს უკანასკნელ შრომათა შორის არის მოკლე მოთხრობა საქართველოს ლიტერატურის შესახებ, რომელის ერთი ნაწილი უკვე გამოიცა. შეიძლება დიდდი დრო, როდესაც ინგლისში უფრო მეტს ყურადღებას მიაპყრობენ ამ მშვენიერს ერს, ბედნიერს, თავისუფლების მოყვარე ერს, რომელმაც მრავალ საუკუნეს იბრძოდა თავისის თავისუფლებისათვის, და ამაყობს თავისის ნათელ ქრისტიანობით, რომელიც მიიღო მე-III საუკუნეში ქრ. შემდეგ.

დასასრულ ბ-ნს ჯანაშვილს ვუსურვებთ მისს სასარგებლო და სამეცნიერო შრომაში.

ბ. ც—სკი

*) აქ ავტორი სცდება: მუზეუმის გამგედ მ. ჯანაშვილი დაინიშნა 10 აპრ. 1898 წელს, მანამდე-კი მას განაგებდნენ ეპისკოპოსი ლეონიდი (4 მაისს 1897 წ.) და თ. ჟორდანია (1888—1897 წწ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუბრუნებელს დროს ამ სიტყვებით იგონებენ: „ვაჰ, დრონი, დრონი, ნაქებნი მტკბარად! წარვიდნენ, გაჰქრნენ სიზმარებრ ჩქარად!“ იმედია, მალე ეს ხმაც სრულიად მისწყდება. ამ უკანასკნელებს ისევ ნაყმევთა დაჩაგვრაში თუ შერჩენიათ ძველებური მამაცობა, თორემ დღეს სხვა არაფრით არიან შესანიშნავნი.

მე მგონია, რომ ამ გვართა რიცხვით ქართლს პირველი ადგილი უჭირავს.

აი ერთი მაგალითი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, როგორ ექცევიან ზოგიერთი მებატონეები თავიანთს ნაყმევებს: სოფელი ფ—ნი (გორის მაზრაშია) თითქმის სულ ნაყმევებით არის დასახლებული. აქაურს გლეხებს, გ—შვილებს, უხსოვარ დროიდგან ეკუთვნოდათ, სხვათა შორის, ოთხი ძირი კაკლის ხე, თითო ოც თუმანზედ მეტად ღირებული. მართალია, მიწა, რომელზედაც ეს ხეები იყო, ნაბატონარის კუთვნილება, მაგრამ ხეები, როგორც ვსთქვით, გლეხებისა იყო. ხალხიც ამ ხეებს „გ—ნაანთ კაკლებს“ ეძახდა. ერთს მშვენიერს დღეს მებატონებს უფრენიათ თავიანთი მოურავი რამდენისამე შეიარაღებული კაცით და ოციოდე ურმით აღნიშნულ კაკლებთან და უბრძანებიათ: „ან მისსოლუნგი, ან შენი თავიო!“ მისვლის უმალვე მოურავს მოუხმია ზოგიერთი იქაური ღონიერი ყმაწვილი ბიჭი და დიდის მუქარით შახიანად გამოუცხადებია მათთვის ბატონის ბრძანება: „ბატონმა გიბრძანათო, ეგ გ—ნაათ კაკლის ხეები ჩემს ხოდაბუნს მიფუჩებენო; ამისათვის ემ საათში დასჭერით, ამ ურმებზედ დაუდეთ და გამომიგზავნეთო, თორემ ვაი დედი თქვენი ღმერთსაო!“. დიდის ხნიდგან ბატონის ბრძანების ასრულებას მიჩვეულ გლეხთ ქედ-მოხრილად და ხმა-ამოუღებლივ მიუყვიათ ხელი ხეების ჭრისათვის. როდესაც მათი პატრონები შეჰკითხებიან: „ძმებო, რას გვერჩით, თქვენ ხომ იცით, რომ ეგ ხეები ჩვენებიაო“, ამათ მიუგიათ, რომ რა ვქნათ, თქვენი ჭირიმე, ჩვენგან ნუ გეწყინებათ, ბარემ ვიცით, რომ თქვენებია, მაგრამ ბატონის რისხვისა გვეშინიანო.

პატრონებს ძალით უცდიათ შეეყენებინათ ჭრა, მაგრამ მათ „აბგარაბჯრით მთლად შეჭურვილი“ ბატონის ჯარი გადასდგომია წინ. მათთვის გლეხებს წინააღმდეგობა ვეღარ გაუბედნიათ და ამ რიგად მოურავს თავისის ბატონის ბრძანება ერთგულად შეუსრულებია.

ხეების პატრონებს ჩივილი სდომებიათ და ამისათვის გორში ჩამოსულან. აქ ზოგს უთქვამს მათთვის არზის დასაწერი ხუთი მანეთი უნდა და მარკებიც უნდა იშოვნოთო; ზოგს უთქვამს—თავი დაანებეთ, თორემ უფრო გადაგეკიდებიანო და საპრალოებს თავი მიუნებებიათ.

აი, ბატონებო! ასე ეკიდებიან დღესაც ზოგიერთი ჩვენი ბატონები გლეხებს და ჩვენ-კი გვიკვირს, რამ დააბეჩავა ქართლელი გლეხიო? განათლება და საზოგადოდ წინსვლის სურვილის გაღვიძება არც სხვაგან სადმე ჩამოვარდნილა ციდგან მანანასავით და არც ჩვენში მოხდება ეს. აქ საჭიროა მაგალითი, წაქეზება და მხნეობა ხალხისა მოწინავე ხალხისა და მეთაურთაგან და გლეხებიც, უეჭველ ა, შეიგნებენ, ფეხის ხმას აჰყვებიან. ჩვენ სიტყვით, თუ წერით ბევრს მიზეზებს ვასახელებთ ქართლელ გლეხის გონებრივადა და ქონებრივად ერთ წერტილზედ გაჩერებისა, ხოლო უმთავრესი —ეს ბატონ-ყმობის ნაშთი კი გვავიწყდება. პირველი ხელ-შემშლელი გარემოება-კი აქ უნდა მოიძებნოს.

ვანო გიუნაშვილი

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ხაშმი,** (ტფილისის მაზრა).

სოფლის წინ-სვლა.—ახალგაზდობა.—თეატრი ხაშმში.—შილლერის „ყაჩაღე'ის“ წარმოდგენა.—წიგნთ-საცავი.—წყლის გამოყვანა.—„საიდუმლო ხმები“.

სოფელი ხაშმი წინ მიდის იმ მხრივ მაინც, რომ მოსწავლე ახალგაზდობა დღითი-დღე გვემატება. ვისაც კი შეძლება მოეპოვება, სცდილობს როგორმე სწავლა მიაღებინოს შვილს; დღეს თითქმის ყველა დაბეჯითებით ჰგრძნობს სწავლის მოთხოვნილებას და ეს ხომ უკეთესი მერმისის მომასწავებელია. ჩვენებური აწინდელი ახალგაზდობა მეცადინეობს სოფლის სასიკეთოდ და ჯერ-ჯერობით დიდი უნარი გამოიჩინა წარმოდგენების მართვაში; იგი ჯერ ამ ასპარეზზედ მუშაობს, ამათვე მხარს უჭერს მამასახლისიც და თანაგრძნობით ეპყრობა. თუ სოფლის მამასახლისი და ჩვენი ნასწავლი ახალგაზრდობა, ინტელიგენცია, ხელი ხელს მისცემენ და სოფლის სასარგებლოდ იმოქმედებენ, მაშინ ყოველი საკეთილო საქმე გარიგდება. ვუსურვოთ უკეთესი, ნაყოფიერი მომავალი უანგარო ახალგაზდობას; ვინ არ იცის, რომ უანგარო მოქმედება-მოღვაწეობა საქებია, მხოლოდ ანგარი — საგმობი. ისიც ვინ არ იცის, რომ კარგთან ავიც მოიპოვება. ჩვენშიაც მოიპოვებიან ზოგიერთნი, რომელთაც საზოგადო საქმისთვის ისე შესტკივათ გული, როგორც აზამბარელ თათარს ჩვენის სოფლისათვის; თუ ხანდისხან „მოღვაწეობენ“, ეს მხოლოდ სოფლის თვალ-შესახედად. ხშირად ამათგან კაი კაი სიტყვებსაც მოისმენთ... საქმით-კი უსწავლელი გლეხის გონებაც-კი ვერ წარმოიდგენს, თუ რასა შვრებიან ეს ვაჟბატონები. სამწუხაროა, რომ ნასწავლობის სახელით მონათლული თვით იტეხს სახელს და თვისთან ერთად სხვებსაც უტეხავს. „ეგ არის თქვენი „ნასწავლობაო!“ არა ერთგზის ამოუძახნია გულის სიღრმიდგან ჩვენებურს გლეხს. ჩვენი სოფელი სასოება-სიხარულით შესცქერის სასწავლებელში შესულს ახალგაზდას, ისწავლის, ჩამოვა სოფელში და ჩვენც გვარგებს რასმე, გვიწინამძღვრებს რაშიმე, დაგვეხმარება და გზად და ხიდად გაგვიდებაო და ამის მაგიერ რას ჰხედავს? საზოგადოდ ქართველ ახალგაზდას ცოტა-რამ გასაკეთებელი აქვს სოფელში? სხვა არა იყოს-რა, ერთად შეერთებულს გლეხს, რომ წაუკითხო რაიმე სასარგებლო შინაარსიანი წიგნი, ჯერ ესეც დიდი სამსახურია საზოგადო საქმისა. ცოტად თუ ბევრად შეგნებულის კაცის მოვალეობას უნდა შეადგენდეს, რითაც-კი შეიძლება მოუსამსახუროს თავისს ხალხს, მაგრამ არიან ისეთნიც, რომელნიც არამც თუ თითონ არ მოქმედებენ, არამედ ხელს უშლიან მშრომლებს, ვინ იცის რა მოსაზრებით.

მაგრამ ჩვენში თეატრის წარმატება-კი ფრიად სასიხარულოა. ეს რვა წელიწადი იქნება, რაც სოფელს ხაშმში ყოველ ზაფხულობით 2—3 წარმოდგენა იმართება ხოლმე; მართალია, წინად ხალხის უმრავლესობა თითქმის საცილოდ იღებდა წარმოდგენებს და მისს გამმართველთ, მაგრამ დღეს შეეჩვია და თითქმის მოთხოვნილებათაც გადაექცა თეატრში სიარული. პირველად აქ თუ წარმოდგენები დაიწყეს „შავი შლებით“ (პატარა ვოდევილია), წრეულს წარმოდგენილ იქნა შილლერის „ყაჩაღები“. თუმცა ხაშმელ სცენის მოყვარეებს ბევრი დაბრკოლება ეღობებოდა წინ, რის გამო ვერც-კი ჰბედავდნენ ასეთი ძნელის პიესის ხელის მოკიდებას, მაინც გაბედეს, დაიწყეს მზადება სტუდ. ალექ. ნათიშვილის რეჟისორობით. წარმოდგენა გაიმართა 13 აგვისტოს; თეატრს ბევრი ხალხი მოაწყდა ადგილობრივი და გარეშე სოფლელნი; დარბაზი გაიჭედა მაყურებლებით; მომზადებულ ბილეთებზედ ზედმეტიც გაიყიდა (ფასი 15 კაპეიკიდგან 150 კაპ. ბევრი ღარიბი უფასოდაც შეუშვეს.). წარმოდგენის დაწყობამდის ბ-ნმა ნახუცრიშვილმა დამსწრე საზოგადოებას აუხსნა მდაბიურად მიზანი წარმოდგენისა, საზოგადოდ თეატრის მნიშვნელობა და პიესის შინაარსი. ამის შემდეგ დაიწყო წარმოდგენა. მიუფერებლად ვიტყვით, რომ ასეთი ჩინებულად-მწყობრად გამართული წარმოდგენა სოფელ ადგილას იშვიათად გვინახავს. როლები ყველას ზედმიწევნით შეეგნოთ, მოწყობილობა (გრიმიროვკა, ტანისამოსი) და დეკორაციები (რომლებიც დახატა სტუდ. ალექ. ნათიშვილმა), მშვენივრად შეხამებულ-შეწყობილი იყო. მართალია, როლების ამსრულებლებს ჰქონდათ მცირედი ნაკლებულება, მაგრამ საერთოდ-კი მთელი პიესა მწყობრად ჩაატარეს. დამსწრე საზოგადოებამ პიესა გულდადებითა და შეგნებით მოისმინა, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენამ ღამის ორ საათამდე გასტანა. წარმოდგენის დასასრულს საზოგადო ცეკვა გაიმართა.

ხაშმის სცენას სტ. ალ. ნათიშვილმა დიდი ღვაწლი დასდვა; მან შარშანაც დახატა დეკორაციები და წრეულს ხომ ხაშმის სცენა მართლა და გაამდიდრა დეკორაციებით. ღვთის მადლით, ამ ჟამად სცენა მოწყობილი გვაქვს. ამ გვარ მუშაობის გარდა ალექ. ნათიშვილი ყოველთვის გულწრფელ და თავგამოდებითი მონაწილეობას იღებს ხოლმე წარმოდგენებში, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთნი აქაური „საზოგადო მოღვაწენი“ ყმაწვილნი კაცნი უგულოდ ეკიდებიან საზოგადო საქმეს.

დიდის მადლობის ღირსია სტ. ა. ნათიშვილი, რომელიც ასე თავგამოდებით ემსახურება ჩვენი სცენის საქმეს, იმედია მომავალშიაც ასევე განაგრძობს სხვა გულ-წრფელ ახალგაზრდებთან ერთად მოქმედებას ჩვენი ხალხის სასიკეთოთ. მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე ბ-ნი ილ. ალერწიანი, რომელმაც ტფილისიდგან დახმარება გაუწია აქაურს ახალგაზრდობას და ბ-ნი ვას. ნიკ. ღოღაძე, რომელმაც შარშან 30 არშინი ტილო შემოსწირა ხაშმის სცენას დეკორაციების დასახატავად. ამ წარმოდგენის შემოსავალიც (73 მანეთამდე), როგორც ყველა წინანდელი წარმოდგენებისა, წიგნთ-საცავის სასარგებლოდ გადაიდო. ჩვენში ხომ ეს რამდენიმე წელიწადია წიგნთ-საცავი გვაქვს, მაგრამ...

იმისდა მიუხედავად, რომ ამ წიგნთსაცავით მთელი სოფელი სარგებლობს და ამის წყალობით ბევრი გლეხის ოჯახში შ. რუსთველიდგან დაწყებული თითქმის ყველა მწერლების ნაწარმოებმა შეიჭრიტინა, ოჯახის წევრნი ასიამოვნა, სოფლის „მოწინავე“ კაცები თითქოს უგმაყოფილონი არიან. ეს რომ ასე არ იყოს, განა სასოფლო შენობის ოთახიდგან, სადაც წიგნთ საცავი იყო მოთავსებული, წიგნებს გამოჰყრიდნენ? ერთხელ დათმობილი მეორედ გამოსწირეს—აი ესეც სამსახური სასარგებლო საქმისა: „წინად თუ არა გვქონდა, წიგნთ-საცავი“ ამიტომ ვერა ვსცხოვრობდით, პურს ვერა ვსჭამდითო, არა?... მოისმის შიგა და შიგ. ასეთ საყვედურს ისეთნი აცხადებენ, რომელთაც სოფლის ცხოვრებაში ასე თუ ისეთი გავლენა აქვთ. წიგნთ-საცავი (იმათის სიტყვით „ბიბლიკოზა“), რომ სასარგებლო „საქმეა“, ამას რომ თითონ დაუფიქრდენ, განა არ შეამჩნევენ? ეს რამდენიმე წელიწადია ჩვენში წიგნთსაცავი არსებობს და მის დიდს ნაყოფს აშკარად ვხედავთ. ვინც კი სოფლის სკოლაში მოსწავლემ ან მოსწავლედ ნამყოფმა დაიწყო წიგნების კითხვა, ეხლა ქართულის წიგნებით მომზადებულა და უფრო უკეთესი წარმოდგენაც აქვს თავის სოფლის გარეშე ქვეყნებზედ. და ვინც-კი ისწავლა სოფლის სკოლაში, წიგნების კითხვა ვერ დაიწყო, მას ის ორიოდე „ბაიბუეც“ დავიწყებია, რაიცა სკოლაში გაიზეპირა.

ჩვენში რამდენი ხანია მოხუციდგან დაწყებული ბავშვმაც კი შეიგნო, რომ სოფელში საჭიროა წყლის გამოყვანა; სოფელი დღემდის ხმარობს სამებლიანთ რუდგან—ლაფინ-ხევის წყალს და იორს; იორი ზემოდ უბნელებისათვის კარგა მოშორებითაა და ლაფინ ხევი კიდევ ისეთი სასმელია, რომ ღმერთმა შეინახოს იმით გაჭირვებული. ეს წყალი რომ სასმელად არ ვარგა, მავნებელია, ამას თვით ხაშმელებივე „ამტკიცებენ“. გარდა ამისა, ამ ნაკლის შესახებ ერთხელ—გვახსოვს—გაზეთშიაც კი ეწერა და აჰა, ახლა ძლივ ამ ზაფხულს განაჩენით დაადგინეს წყლის გამოყვანა. სოფლის ყრილობაზე გადასწყვიტეს, რომ გამოიყვანონ წყლები და სოფელში 4—6 ადგილას დასდგან მილები. ხარჯის საჭირო ფულიც მცხოვრებლებმა ერთ-ურთმივე გაიწერეს და ვნახოთ ამ საშვილიშვილო საქმეს როდის მოიყვანენ სისრულეში. ვისურვებთ, რომ ეს საქმე მალე განხორციელებულიყოს ხაშმელთა სასარგებლოდ და სასახელოდ. ღვთის წინაშე ხაშმელებს კი მოსდევთ თავისებური უოჩადობა, თუ მოინდომეს. აი, ერთს მაგალითს მოგახსენებთ ამის შესახებ. ჩვენში „საიდუმლო ხმები“ დადიოდა, რომ ვითომც რამდენისამე წლის განმავლობაში მთავრობის მიერ მანიფესტით ნაჩუქარი „ნედოიმკები“ (მგონი 1894 წლიდგან) სოფელს არ უხილავს და სადღაც ჩაჩქლამულა. იმასაც ამბობენ „ავნი ენანი“, რომ ვითომც ეს ფული ზოგიერთებს მიეკუთვნოთ. ამ ხმებმა ჩვენ სოფლელებს შთაბერა მოქალაქეობრივი სული, მოისურვეს ნამდვილის შეტყობა და შარშან სასოფლო განაჩენით ამოირჩიეს რამდენიმე რწმუნებული, რომელთაც დაევალა ამ საქმის გამორკვევა. როგორც ამბობენ, რწმუნებულნი მეცადინეობენ თურმე გამოარკვიონ ეს საქმე. ვუსურვებთ სოფლის რწმუნებულთ, რომ ნაკისრ მოვალეობას სინდისიერად მოეკიდონ, და ნათელი მოჰფინონ ამ საქმეს.

თვალ-ყური

---

## რუსეთი

როგორც ხმა დადის, მალე საურთიერთო დამზღვევ ქალაქის საზოგადოებათა წარმომადგენლების მეხუთე კრება თურმე იქნება მიწვეული პეტერბურგში.

— როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იწერებიან, სენატორს ა. თ. კონის განზრახვა თურმე აქვს ს.-პეტერბურგის უნივერსიტეტში ერთის სრულიად ახალ საგნის, სასამართლოს ეთიკის, შესახებ ლექციების კითხვა დაიწყოს.

— პოლონეთის გამოჩენილი მწერალი ჰენრიკ სენკევიჩი ახალის რომანის წერას შესდგომია. რომანისათვის შინაარსი ნაპოლეონ I-ის დროიდგან არის აღებული და, მაშასადამე, ესეც ისტორიული იქნება, როგორც მაგ. „Cuo vadis“, „ჯვაროსნები“ და სხ.

— დაბალ სახელოსნო სასწავლებლების ახალის ნორმალურის წესდებით, აღნიშნულს სკოლებს აზრადა აქვთ მოწაფეებს პრაქტიკულად შეასწავლონ სხვა-და-სხვა ხელობა, შესძინონ გამოსადეგი ცოდნა და სხ., რომ გონივრულად მუშაობდნენ. სწავლისათვის დანიშნულია ოთხი წლის კურსი; უკანასკნელს კურსებზედ მხოლოდ პრაქტიკულად ივარჯიშებენ, რომ ნასწავლი ხელობა უკეთ შეითვისონ. სხვა-და-სხვა ხელობისა გარდა, აღნიშნულს სკოლებში ასწავლიან აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა და მანქანების შეკეთებას, როგორც ამას ადგილობრივი პირობები მოითხოვს და სხ. სკოლა შეიძლება გაიხსნას ხაზინისა, ერობათა, საზოგადოებათა, წოდებათა და კერძო კაცების ხარჯით. თუ რომ სკოლა ხაზინამ გახსნა, ან და რაიმე დახმარება ეძლევა ხაზინისაგან, ნება-რთვა მაშინ საერო განათლების მინისტრმა უნდა მისცეს, თუ რომ სხვა რამ ზემოდ აღნიშნულ საშუალებით, — მაშინ სამოსწავლო ოლქის მზრუნველსაც შეუძლიან ნება-რთვა მისცეს.

— თანახმად საერთაშორისო ფსიხოლოგიურ კონგრესის გარდაწყვეტილებისა, საერთაშორისო ფსიხოლოგიური ინსტიტუტი პარიჟში იქმნება გახსნილი. ინსტიტუტის საქმეების მართვა-გამგეობა დავალებული ექმნება განსაკუთრებულს კომიტეტს, რომლის წევრებადაც ყველა ქვეყნის შესანიშნავი ფსიხოლოგოსნი იქმნებიან ამორჩეულნი; მაგალითად, ახლავე ასახელებენ: პროფესორებს მენდელეევს, მეჩნიკოვს, პასტერის ინსტიტუტიდგან, ლომბროზოს, რიშეს, კრუკსა და სხ.

— გამოქვეყნდა უკვე განმარტება იმისი, თუ ფაბრიკებსა, ქარხნებსა და სხვა სამრეწველოებში სამუშაო დრო როგორ უნდა იქმნეს განაწილებული. დაწესებულ დროის გარეშე მუშაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მუშათათვის სავალდებულო, როდესაც ეს შინაგანწყობილების წესებში ადრევე მოხსენებული იქნება და შემთხვევაც ნაჩვენები იქნება, თუ როდის ეკისრება მუშას ასეთი სამუშაო შესრულოს.

— გზათა სამინისტრომ განმარტა, რომ სამსახურის აღსრულების დროს მღვდლებს მათს მრევლში თუ სხვაგან რკინის გზის ფული არ უნდა გარდაჰხდეთ, რადგანაც კანონით უფლება აქვთ თითოეულ კერძო შემთხვევისათვის სამსახურის დროს უფასო ბილეთი მიიღონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოეთი

—

**ჩინეთი.** ინგლისურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ჩილის ვიცე-კოროლის სასახლეში ნაპოვნ საბუთის ქაღალდების შინაარსი. ამ ქაღალდების შინაარსიდგანა სჩანს, რომ ჩინეთის მთავრობა „მოკრივეთა“ ამბოხებაში დიდ მონაწილეობას იღებდა, თვით აქეზებდა მოკრივეებს და დიდ ფულს ურიგებდა მათ. მთელი დავთრები უპოვნიათ სასახლეში, სადაც დაწვრილებით ანგარიშია აღნიშნული იმისა, თუ რამდენი ფული და სურსათი მიუციათ მოკრივეთა წინამძღოლებისათვის. 12 აგვისტოს, მაგალითად, მოკრივეთა ერთ წინამძღოლს ვიცე-კოროლისაგან მიუღია 12,000 ტაელი. მთავრობას ამ პროვინციაში მოკრივეთათვის დიდძალი სურსათი შეუნახავს მაგარს სარდაფებში. შემდეგ ჯილდოები მიუციათ მოკრივეთა დაჭრილ უფროსებისა და იმათთვის, ვისაც რითიმე თავი უჩენია; სუბსიდიები დაუნიშნიათ აგრეთვე მოკლულ მოკრივეთა ქვრივებისა და წვრილ შვილებისათვის. 11 აგვისტოს დაჭრილ-მოკრივეთათვის დაურიგებიათ 3550 ტაელი. გენერალის ხსუსის ბრძანებით რამდენიმე ათასი ტაელი გადაუდვიათ იარაღის მოსამზადებლად მოკრივეთათვისვე. ქაღალდებში ერთი ბარათიც არის ტიან-ძინის პრეფექტისა, რომელიც სწერს ამ ბარათში, რომ მივიღე „უმაღლე[s] მთავრობისაგან 7,500 ტაელი მოკრივეთა წინამძღოლის ჩან ტე-ჩენგისთვის გადასაცემადაო. არც ერთი მამაცი და თავგამოდებული მოკრივე არ დაუტოვებიათ დაუჯილდოებელი. შემდეგ ქაღალდებიდგან ისიცა სჩანს, რომ „დიდის „უმტის“ საზოგადოებას ქალთა განსაკუთრებული განყოფილება ჰქონია.

— როგორც „Morning Post“-ი გადმოგვცემს, კვანგ-სუს პროვინციის მეამბოხეთ „მოკავშირეთა“ ჯარისათვის მიუმართავთ და დახმარება უთხოვნიათ. მეამბოხეთ გამოუცხადებიათ, რომ ჩვენ ევროპიელებს არაფერს ვერჩით, ჩვენი მიზანი დინასტიისა და მთავრობის მოხელეთა განდევნაა, რომელნიც ხალხს აწვალებენო. მეამბოხენი უმთავრესად რეფორმატორის კან-იუ-ვეის მომხრენი არიან. იქ, სადაც ამბოხება არ არის, მოხელენი მრავლად იჭერენ და აპატიმრებენ რეფორმების მომხრეებს. იგივე გაზეთი სწერს: „სამხრეთ-ჩინეთში მოძრაობას ორი ხასიათი აქვს: კვანტუნში მეამბოხეთ მეთაურობს სუნ-იატ-სენი; აზრად ამათ დინასტიის გადაყენება აქვთ. კვანსში-კი ამბოხება უფრო ადგილობრივ მოხელეთა წინააღმდეგ არის მიმართული. არც პირველნი და არც მეორენი მტრულად არ ექცევიან უცხო-ქვეყნელთ“.

**ინგლისი.** საპარლამენტო არჩევნები დასრულდა და ეხლა აშკარა შეიქმნა ყველასათვის, ვინ დამარცხდა და ვინ გაიმარჯვა. გამარჯვებული არჩევნებიდგან, რასაკვირველია, მთავრობის მომხრე დასი, ე. ი. კონსერვატორნი გამოვიდნენ. არჩევნებამდევე ხალხი ისეთ თანაგრძნობას უცხადებდა მთავრობას, რომ ოპოზიციამ წინდაწინვე უწყოდა თავისს დამარცხება. ამიტომ იგი უფრო წინანდელის ადგილების შენარჩუნებას სცდილობდა, ვიდრე ახალის მოპოვებას. წინანდელის პარლამენტის დათხოვნის დროს მთავრობის მომხრეთა რიცხვი 128 კაცით აღემატებოდა ოპოზიციის მომხრეთა რიცხვს. ეხლა-კი სულ 401 მთავრობის მომხრე იქმნა არჩეული და 269—ოპოზიციისა, მაშასადამე, მთავრობას პარლამენტში 132 კაცი მეტი ეყოლება, ე. ი. მთავრობამ 4 ახალი მომხრე მოიპოვა. რას გვასწავლის აწინდელი გამარჯვება მთავრობის მომხრეთა? როგორც ვიწყით, საარჩევანო ბრძოლის უმთავრეს საგანს ეს შეადგენდა: მოიწონებს თუ არა ამომრჩეველთა უმრავლესობა სალისბიურის სამინისტროს საიმპერიალისტო პოლიტიკას, რომლის სულის ჩამდგმელიც ახალშენთა მინისტრი ჩემბერლენია, ხოლო გამომხატველი—ტრანსვაალის ომი. რადგანაც პარლამენტის წევრად მომეტებულად მთავრობის მომხრენი იქმნენ არჩეული, აშკარაა, მცხოვრებთა უმრავლესობამ ამით მოიწონა ჩემბერლენის საიმპერიალისტო პოლიტიკა საზოგადოდ და ინგლის-ტრანსვაალის ომი კერძოდ. ეს, სხვათა შორის, იქიდგანაცა სჩანს, რომ ხალხმა არ აირჩია ის კანდიდატები, რომელნიც უფრო აშკარად და საჯაროდ აღუდგნენ ჩემბერლენის პოლიტიკასა და სამხრეთ აფრიკის ომს: სტენგოპი, სტუარტი, პიკერსგილი, სტედმანი, კლარკი და სხვანი. მაგრამ გაზეთები წინასწარმეტყველებენ, რომ ასეთი გამარჯვება დიდ ხანს არ გასტანს, მალე გაქრება სიხარული გამარჯვებით გამოწვეული, დაინახავენ ყველანი, რა ფასად დაუჯდა ინგლისს ეს გამარჯვება, დაინახავენ აგრეთვე, რომ უკვე დამარცხებულ ტრანსვაალის პატრონობა ინგლისს დიდად დაუჯდება და მაშინ ხალხი ზურგს შეუქცევს კონსერვატორებს და ისევ ლიბერალებს დაუბრუნდებაო, ამბობენ ეს გაზეთები. ყოველ შემთხვევაში, დღეს გამარჯვებულნი კონსერვატორნი არიან და ახალს არჩევნებამდე (ახალი არჩევნები ექვსის წლის შემდეგ მოხდება) სახელმწიფო საქმეების მართვა-გამგეობა იმათ ხელში იქმნება.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** კარგა ხანია სამხრეთ-აფრიკიდგან არავითარი ამბავი აღარ მოსულა. დეპეშები თითქმის აღარაფერს იუწყებიან და ამიტომ ძნელი გასაგებია რა ხდება ეხლა იქ. ინგლისელები აცხადებენ, რომ ამ ცოტა ხანში სამხრეთ-აფრიკიდგან ჯარი ინგლისში დაბრუნდებაო. სხვათა შორის ამბობენ, რომ ნოემბრის გასულს ინდოეთის ჯარი უნდა გაუდგეს გზასაო. ამავე დროს კი სამხედრო სამინისტრომ ბრძანება გასცა თურმე ინგლისიდგან სამხრეთ-აფრიკაში ახალის ჯარის გაგზავნის შესახებ. უნდა გაიგზავნოს სულ 2,705 ჯარის-კაცი. როგორც ეტყობა, ბურებს ჯერ კიდევ იმედი არ დაჰკარგვიათ. ამას ზოგიერთი ინგლისური გაზეთებიც მოწმობენ, სადაც ეხლა ათასში ერთხელ, კანტი კუნტად იბეჭდება სამხრეთ აფრიკის ამბები. გაზ. „Daily Teleg.“-ი სწერს, მაგალითად, რომ ბურები უწინდელებრ აწუხებენ ჩვენ ჯარს და მოსვენებას არ აძლევენ ქალაქებს. მათი რაზმი ხან ბელფასტს ესხმიან თავს, ხან ბრუმსკრიტს, ხან კრიუგერსდორპსა და ხან სხვა ადგილებსაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

მეტად უცნაურ ამბავს გადმოგვცემენ გაზეთები. ერთის გერმანიის გემის ზღვაოსანთ კუნძულ ბორნეოზედ ერთი ველური დედაკაცი უნახავთ, რომელიც, როგორც ამბობენ, გორილასა (ადამიანის მსგავსის ჯიშის მაიმუნია) და კუნძულელ დედაკაცისაგან გაჩენილა. მთელი ტანი ამ დედაკაცს მაიმუნისა აქვს, მხოლოდ სახე არაფრით არ გაირჩევა ადგილობრივ მცხოვრებ დედაკაცთა სახისაგან. ეს უცნაური დედაკაცი ამ ჟამად 20 წლისა იქმნება. სცხოვრობდა იგი გამოქვაბულში, როდესაც ზღვაოსანნი მისულან, დედაკაცს დიდი წინააღმდეგობა გაუწევია; ხუთ კაცს ძლივს დაუმაგრებიათ და გემზედ დაუსვამთ. ზღვაოსანთ ამ დედაკაც-გორილასათვის ტანისამოსი ჩაუცვამთ და სახელადაც ფრეილეინ კლარა პუმპერნიკელი დაურქმევიათ. ეს უცნაური დედაკაცი ბერლინში წაუყვანიათ.

* *
*

საფრანგეთში ველოსიპედს გადასახადი ადევს. 1899 წელს ამ გადასახადისაგან 4,338,320 ფრანკი ყოფილა შემოსავალი. 1899 წელს ხმარებაში ყოფილა 838,856 ველოსიპედი. თუ რა სისწრაფით ვრცელდებოდა ველოსიპედი, შემდეგის ციფრებიდგან სჩანს: 1894 წელს სულ ხმარებაში 202,026 ველოსიპედი ყოფილა; 1895 წელს —256,084; 1896 წელს—329,816; 1897 წელს—408,869; 1898 წელს—483,414; 1899 წელს—838,856; ყველაზედ მეტად სენის დეპარტამენტშია გავრცელებული ველოსიპედი, იქ 185,781 ველოსიპედია.

* * *

საოცრად გავრცელებულა ყაჩაღობა ტეხასში, სადაც ამას წინად ურაგანმა მთელი ქალაქები და სოფლები გაანადგურა. რაც ამ ურაგანმა დააკლო, ქურდებმა და მძარცველებმა შეასრულეს. ამის გამო მთავრობამ მთელს ოლქში სამხედრო დროის წესრიგი შემოიღო და ჯარი გაგზავნა. მეორე დღესვე მარტო ქალაქ გალვესტონში 50 მძარცველი დაიჭირეს. ბევრი ამათგანი ზანგი იყო. მთავრობა ძალიან სასტიკად ექცევა ქურდ-ბაცაცებს. ეს 50 კაცი იმავე საღამოთი დაჰხვრიტეს. ქურდები მკვდრებს თითებსა და ყურებს სჭრიან. მრავალ გვამს აღარა აქვს თურმე ყურები და თითები. ზოგისთვის ტანისამოსიც გაუძვრიათ. ის სახლებიც, რომლებიც ურაგანს გადარჩნენ, თითქმის სულ გაქურდულია. ყველა ამას გარდა გვამებისაგან ათასი სენი და ჭირი ვრცელდება თურმე. გვამებს ზოგგან სწვავენ, ზოგგან მარხვენ, ზოგგან კიდევ ზღვაში ჰყრიან. ამ ბოლოს დროს ზღვაში გადაყრას თავი მიანებეს, რადგანაც, რაც გადაყარეს, ისევ ნაპირზედ გამორიყა. 12 სექტემბრამდე მთავრობის მიერ დაქირავებულ მუშებს 2,300 გვამი უპოვნიათ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე მემკვიდრე ჩარიცხულ იქმნა მისის უდიდებულესობის საკუთარ მცველთა რაზმის სიაში.

**ლონდონი.** ვაშინგტონიდგან იუწყებიან, რომ შეერთებული შტატების მთავრობა პასუხს აძლევს იმ ნოტაზედ, რომელიც გერმანიის საელჩოს მდივანმა გადასცა და რომელიც ინგლის-გერმანიის შეთანხმებას შეეხებაო. შტატების მთავრობამ მოიწონა შეთანხმების ყველა მუხლი მესამის გარდა, რომელმაც, ამერიკის აზრით, შეიძლება საქმე გააძნელოს, ხოლო შტატებს არაფრის გულისთვის არა ჰსურს ამაში ჩარევა.

**ბერლინი.** პარიჟელი გაზეთები სწერენ, რომ ჩინეთის საქმეების გამო ინგლის-გერმანიის შეთანხმების უკვე გამოქვეყნებულ მუხლებს გარდა, არსებობს საიდუმლო ხელ-შეკრულობაცაო: „Nat. Zeit.“-ი აცხადებს ამის გამო: „ჩვენ შეგვიძლიან დავარწმუნოთ ყველა, რომ არავითარი საიდუმლო ხელ-შეკრულობა არ არსებობს“.

**ტაკუ.** ფრანგებს პაოტინფუში უჭირავთ რკინის გზის სადგური და ლიანდაგი. ისინი ათვალიერებენ მიდამოებს, ვაგონებით მიდიან და მოდიან ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ. გზის შეკეთებას დაუყოვნებლივ შეუდგებიან.

**პარიჟი.** ჩინეთის ელჩმა გადასცა დელკასეს ჩინეთის იმპერატორის წერილი, ლუბეს სახელზედ გამოგზავნილი, რომელშიაც იგი დახმარებასა სთხოვს სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყების მოახლოვებისა გამო.

**ბონკონგი.** როგორც კანტონიდგან იუწყებიან, აღმოსავლეთ მდინარისაკენ პოლოს ზემოთ გზა შეკრულია, ამიტომ იქიდგან მოსული ამბები ამბოხების შესახებ ერთი მეორეს საწინააღმდეგოა ამბობენ, რომ ჩინეთის ჯარი, რომელიც პირველ ხანს იმარჯვებდა, ორჯელ დამარცხებულ იქმნენო. ძალიან სწუხან საოლქო ქალაქის ხვაიჯოუს ბედის შესახებ. ზოგიერთის ცნობებით ეს ქალაქი უკვე აღებულია, ზოგისა კი დევ—იმპერატორის ჯარმა უკანვე დაიბრუნაო. რადგანაც სხვა ცნობა აღარ მოსულა, ჰფიქრობენ, რომ პირველი ამბავი მართალია. საქმის ვითარება კანტონში არ შეცვლილა, ვიცე-კოროლის მოადგილე თუმცა ემუქრება მეამბოხეთ დასჯას, მაგრამ მუქარა სისრულეში არ მოჰყავს. იმის პროკლამაციებს ზიზღით უყურებენ და მაშინვე ჰხევენ.

**მადრიდი.** შესდგა ახალი სამინისტრო აზკარრაგის თავმჯდომარეობით.

**კაპშტადტი.** რადგანაც ორანჟეს რესპუბლიკის ბურები ხელ-ახლა შეუდგნენ მოქმედებას, სამხედრო მოხელეთ გადასწყვიტეს სასტიკი ზომები მიიღონ იმათ დასაწყნარებლად.

## წერილი რედაქციის მიმართ

მადლობას ვუცხადებ კნ. სალომე ჯანდიერისას, კნ. ეკატერინე ჯანდიერისას, ქ-ნ ციხისტაშვილისას, ბ.ბ-თ ღ. აწყურელს-გამყრელიძეს, ჩელიძეს, აჯიმამუდოვს, ა. და გ. ჯანდიერებსა და სხვათ, რომელთაც ს. ვაჩნაძიანში ჩემ სასარგებლოდ გამართულს წარმოდგენას ხელი შეუწყეს. დიდს მადლობას ვუძღვნი კერძოდ თ. ლევან გიორგის ძე ჯანდიერს, რომელმაც ნაცნობთა შორის ექვსი თუმანი მომიკრიბა და გამომიგზავნა.

სტუდ. ვ. ლაშხაური

ქ. დორპატი.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული. პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

14 ოქტომბერი.

მიხეილ ბერიკაციშვილისა—კაცის დაჭრა ჰბრალდება.

ალექსანდრე ლორთქიფანიძისა—მკვლელობის განზრახვის ჩადენა, ქურდობა და სხვისი ნივთების მითვისება ჰბრალდება.

სერაპიონ და კესარია ბიწაძეებისა და ნატალია ჭყონიასი, რომელთაც სასჯელ. დებ. მე-1690 მუხ. აღნიშნულ დანაშაულსი ჩადენა ჰბრალდებათ.


# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

## კბილის ექიმი

ა. გ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით 9-დგან 2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე.

მიხეილის ქუჩა, № 32. (უ.)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს, რომ იგი იჯარით აძლევს ქალაქის ოთხს დუქანს, რომელიც იმყოფება ბაზრის ქუჩის ბოლოში, ალექსანდრეს ბაღში შესულ ოთხ-კუთხედზედ. ამ დუქნების იჯარით აღების მსურველს პირობათა შეტყობა შეუძლიან ქალაქის გამგეობის მეოთხე განყოფილებაში. (3—6.—2)

ახალი სასადილო

„ქუთაისი“

გაიხსნა ტფილისში სოლომონოვის ქუჩაზედ, (უწინდელი ტალახის ქუჩა), № 4 ცურინოვის პასსაჟის გვერდზედ.

მზადდება სუფთად ყოველგვარი ევროპიული და იმერული საჭმელები (ხარჩო, ღომი, საცივი, სულგუნი და სხვა) და იყიდება იაფად. ვინც თვიურად დაიკვეთს, იმას ნაკლებ ფასად დაეთმობა.

სასტუმროს პატრონი ქ. დანელია

(3—199—3)

ქ უ თ ა ი ს ი

სავაჭრო სახლი

ი. [illegible] შვილები

[illegible]

(10—164—9)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

ჰიგიენური

ბორნო-თიმოლის საპონი

პ რ ო ვ ი ზ ო რ ი ს

გ. ფ. იურგენსისა

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. Ю. (48—6.—25)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 го Октября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე